



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

2018 წლის 3 მაისი

ქ. ლაგოდეხი

ბრძანება

№ 54

*ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოფიციალური მიღებების და შეხვედრებისას, სადილით ან/და სასტუმროს მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯების განსაზღვრაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ 2017 წლის 28 დეკემბრის №57 დადგენილების“ შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. დაინიშნოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოფიციალური მიღებების და შეხვედრებისას, სადილით ან/და სასტუმროს მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯების განსაზღვრაზე პასუხისმგებელ პირად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - გიორგი მესხიშვილი.
2. პირველი მუხლით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას, პასუხისმგებელმა პირმა, გააკეთოს შესაბამისი მოხსენება საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე და მოითხოვოს თანხის გამოყოფა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან.
3. პასუხისმგებელმა პირმა, მოთხოვნილი თანხის დასადასტურებლად უზრუნველყოს შესაბამისი საანგარიშწორებო დოკუმენტის წარმოდგენა.
4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს დაევალოს ბრძანების ფინანსური ნაწილის კონტროლი.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია